საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო

კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი
N 8910

1. სახელწოდება

ეკლესია მაცხოვრის "მაცხვარ"

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1 ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	საქართველო; სამეგრელო-ზემო სვანეთი; მესტია; ჟამუში
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
2.2 გეოგრაფიული /იტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	ზემო სვანეთი
გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	

მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	

3. სახეობა

არქიტექტურის	+
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე-საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
სახვითი ხელოვნების	
მეცნიერების, ტექნიკის ან მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. სტატუსი და კატეგორია

სტატუსი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი
სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	30/03/2006
სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
დოკუმენტის #	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	3/133
კატეგორია	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	ეროვნული
კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	07/11/2006
კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	საქართველოს პრეზიდენტი
დოკუმენტის #	თავდაპირველი	

დოკუმენტის #	ამჟამინდელი	665
რეესტრის #	3084	
რეესტრში შეტანის თარიღი	03/10/2007	

5. აგების თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

შუა საუკუნეები _ მე-4 – მე-18 სს.>>განვითარებული შუა საუკუნეები _ მე-10-მე-15 სს.;,მე-11 საუკუნე

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ამჟამინდელი
რელიგიური	რელიგიური, რიტუალური>>საეკლესიო ნაგებობა>>უგუმბათო ეკლესიის ხუროთმოძღვრული ტიპები>>დარბაზული ეკლესია;	რელიგიური, რიტუალური>>საეკლესიო ნაგებობა>>უგუმბათო ეკლესიის ხუროთმოძღვრული ტიპები>>დარბაზული ეკლესია;
სათავდაცვო		
საერო		

7. საკუთრება (მესაკუთრე/ მესაკუთრეები)

იურიდიული პირი	+
ფიზიკური პირი	
სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

ჟამუშის მაცხოვრის სახელობის ეკლესია (სვან. მაცხვარ) სოფლის გამორჩეული მნიშვნელობის არქიტექტურულ სიძველეს წარმოადგენს. ოდესღაც მჭიდროდ განაშენიანებაში მოქცეული ტაძარი, ამჟამად, მიტოვებულ და ნანგრევებად ქცეულ დარბაზ-მაჩუბებსა და კოშკებს შორისაა მოქცეული. მე-11 საუკუნით დათარიღებული თლილი კვადრებით ნაგები ტაძარი საკმაოდ მასშტაბური მოცულობით, მოხდენილი პროპორციებითა და მწყობრი თაღნარით გაფორმებული ფასადებით ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს მნახველზე. ჟამუშის მაცხოვრის ეკლესიაში დაცულია თამარის ხანის მე-12-13 საუკუნეების ფრესკული მხატვრობა.
მაცხოვრის ტაძარი წარმოადგენს დიდი ზომის დარბაზული ტიპის ეკლესიას (გარე ზომებია: 9,2X6,1 მ). 1984 წლის სააღრიცხვო ბარათის მიხედვით, ირკვევა, რომ ეკლესიას ჩრდილოეთიდან ჰქონდა დაახლოებით თანადროული მინაშენი, რომლისგანაც შემორჩენილი იყო ჩრდილოეთ კედელზე მიდგმული, გეგმით სწორკუთხა, მასიური პილასტრების რიგი, რომელსაც კამარა და აღმოსავლეთ კედლის ფრაგმენტი ეყრდნობოდა. მისი კედლები ორთავე მხრიდან შირიმის თლილი ქვით იყო მოპირკეთებული. მინაშენის ფრაგმენტები დღესდღეობით აღარაა შემორჩენილი. ტაძარს აქვს მეორე, ყორექვით ნაგები დასავლეთის გვიანდელი მინაშენი, რომელიც საკმაოდ მდარე ხარისხისაა. 1984 წლის მონაცემებთან შედარებით, დასავლეთის მინაშენის წყობა რამდენადმე შეცვლილია: გაუქმებულია სამხრეთ კედლის სარკმელი, განახლებულ კედლის წყობაში გამოყენებულია ცემენტი, ბოლო განახლების დროინდელი, დახავსებული შიფერის (აბზოცემენტის ფილა) ცალფერდა გადახურვა ზუსტად არ ედგმის მინაშენის კედლებს, რომელთა შორის ღიობია დარჩენილი.
ეკლესიის კირით შელესილი საფასადო წყობა თაღებით დაგვირგვინებული მაღლივი პილასტრებით არის დანაწევრებული: გვერდითა ფასადებს შვიდთაღედი შემოუყვება, აღმოსავლეთ ფასადს - ხუთთაღედი, ხოლო დასავლეთის ფასადი სამი, განსხვავებული სიმაღლის თაღით არის შემკული.
ტაძრის ლავგარდანი სწორკუთხაა, რომელსაც კედლის ძირში სამსაფეხურიანი ცოკოლი ეპასუხება. 1984 წლის სააღრიცხვო ბარათის მიხედვით, ეკლესიის ექსტერიერზე შემორჩენილი იყო ბათქაშის ფრაგმენტები და ფრესკის ოდნავ შესამჩნევი კვალი, რომელიც დღესაც შეიმჩნევა აღმოსავლეთ ფასადის კეხში. ამჟამად ეკლესია თუნუქის ორფერდა საბურავით არის გადახურული.
ეკლესიის ინტერიერი დარბაზისა და გეგმით ნახევარწრიული საკურთხევლისაგან შედგება. მათი გამმიჯნავი ქვის სამთაღიანი კანკელი შეთეთრებულია. კედლებიდან ბათქაში ზოგან ჩამოცვენილია. ფრესკა გაფერმკრთალებულია. დარბაზის იატაკი მოპირკეთებულია. საკურთხევლის ქვის იატაკი ორი საფეხურითაა შემაღლებული. პირველი საფეხური ნახევარწრიული ამბიონით დარბაზშია შემოჭრილი.
საკურთხეველი დარბაზს ერთსაფეხურიანი მხრებითა და კონქის თაღით უერთდება. ცენტრში, თაღოვანი სარკმლის ქვემოთ მიდგმულია ქვის კანკელი, ხოლო გვერდებში თითო, გეგმით სწორკუთხა ნიშაა განლაგებული. ჩრდილოეთი ნიშა თაღოვანია.
დარბაზის გეგმა წაგრძელებული სწორკუთხედია. ის გრძივი კედლების ორი წყვილი პილასტრითა და მათზე დაყრდნობილი კამარის სამაგრი თაღებით სამ არათანაბარ ნაწილად იყოფა. სამივე კედლის ძირში მთელ სიგრძეზე გამყოფლი საფეხურია მოწყობილი. ორი, შიგნიდან თაღოვანი კარი განლაგებულია დასავლეთ კედლის ცენტრსა და სამხრეთ კედლის დასავლეთ ნაწილში. სამხრეთი კარის ზღურბლი 1,7 მეტრის სიმაღლეზეა გარე მიწის დონიდან. დარბაზს სარკმელიც ორი აქვს - ერთი დასავლეთ კედელში, მეორე კი სამხრეთში.
სოფ. ჟამუშის მაცხოვრის ეკლესია უდაოდ მაღალი მხატვრულ-ისტორიული ღირებულების მატარებელი ძეგლია, რომელიც სახელმწიფო მნიშვნელობის არქიტექტურულ მემკვიდრეობას წარმოადგენს.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1 ზოგადი შეფასება

ცუდი

9.2 მდგომარეობის მოკლე აღწერა

ეკლესიის მდგომარეობა არაა სახარბიელო: მნიშვნელოვნად დაზიანებულია საფასადო ნალესობა, ხოლო მოშისვლებული თლილი კვადრების წყობა არაერთ ადგილას ამოტეხილია, როგორც მაგალითად, სამხრეთ ფასადის კარის თავზე. ცუდ მდგომარეობაშია დასავლეთის მინაშენი, რომლის შეცვლილი კედლის წყობა ცემენტით არის დამაგრებული, განახლებას საჭიროებს მინაშენის ხავსმოდებული და კედლების ზედა პირებს აცდენილი საბურავი. გაფერმკრთალებული და დაზიანებულია ინტერიერის კედლის მხატვრობა.

9.3 დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	
ადამიანის ზემოქმედება	ადამიანის საქმიანობა
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4 მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები:

ეკლესია და მისი მიმდებარე ტერიტორია საჭიროებს მაღალპროფესიულ სარესტავრაციო და სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

10. მითითება ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/სააღრიცხვო ბარათი	1 / 2
უახლესი და საარქივო გრაფიკული მასალა	
უახლესი და საარქივო ფოტოები	
ბიბლიოგრაფია	
საარქივო წყაროები	

11. მითითებები ძეგლთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაციაზე

დაკავშირებულ უძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვ ო ბარათები	
ძეგლში დაცულ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა/ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვ ო ბარათები	
სხვა დოკუმენტები	

12. დამატებითი ინფორმაცია

X კოორდინატი: 321924.241096509; Y კოორდინატი: 4768739.80102657;

13. ბარათის შემდგენელი

თათია ღვინერია, ნინო ჭინჭარაული

14. ზარათის შედგენის თარიღი

2016-11-23